MAXTEL
TELECOMMUNICATIONS

შპს "მაქსტელი"
საქართველო, 0171 თბილისი,
ალმასიანის ქ. 23/25.
ტელ.: (995 32) 42 22 22
ფაქსი: (995 32) 42 02 42

"MAXTEL" LTD
23/25 Almasiani Str.
0171 Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 42 22 22
Fax: (995 32) 42 02 42

№ 035

13 აგვისტო 2009 წ.

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისის თავმჯდომარეს,
ბატონ ირაკლი ჩიქოვანს

წარმოგიდგენთ შპს „მაქსტელი"-ს გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების შეთავაზების წინადადებას (იხ. დანართი 2 გვერდად).

პატივისცემით,

შპს „მაქსტელი"
დირექტორი: ე. ხარატიშვილი

შპს „მაქსტელის“

შეთავაზება
გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე

(კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605\9 გადაწყვეტილების თანახმად)

ქ. თბილისი 5.08.2009

1. ურთიერთჩართვის წერტილი ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31.

2. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვა ხორციელდება მხარეთა მიერ თავიანთ ქსელში საჭიროს სიმძლავრის საკომუნიკაციო პორტების გამოყოფით. TCP\IP პროტოკოლის გამოყენებით, Ethernet ტექნოლოგიით;

3. „მაქსტელი“-ს მიერ გამოყენებულია Cisco-ს მიერ წარმოებული აპარატურა. ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, გამოიყენოს იგივე ან თავსებადი მწარმოებლის აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა.

4. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, „მაქსტელი“ გამოყოფს სათანადო სიმეტრიულ პორტს, რომლის გამტარუნარიანობა განისაზღვრება 100 მბიტ\წმ საკომუნიკაციო ექვივალენტით;

5. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის არხზე ინტერნეტ ტრაფიკის პაკეტების გადაცემის გარანტირებული ხარისხის მახასიათებლად განისაზღვროს: IP პაკეტების დანაკარგების დასაშვები დონე-1%; გადაცემული პაკეტების დაყოვნების დრო -50 მილი\წმ;

6. დაზიანების შემთხვევაში (რაც არ არის გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებებით) მხარე, რომლის ტექნიკური საშუალებაც გამოვიდა მწყობრიდან დაუყონებლივ ატყობინებს მეორე მხარეს მის შესახებ და იღებს ყველა შესაძლო ზომას, რომ არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში აღმოფხვრას ავარიის შედეგები, ან სხვა გზით აღადგინოს ურთიერთჩართვა;

7. „მაქსტელი“ უზრუნველყოფს პირდაპირ გაფართოებულ ურთიერთჩართვას, ხოლო ტრანზიტული ურთიერთჩართვა განხორციელდება დამატებითი შეთანხმებით;

8. ყოველ გამოყოფილ 100 მგ\წმ ექვივალენტური პორტისთვის მხარეები ანგარიშსწორებას მოახდენენ 500 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე;

9. ანგარიშსორება იწარმოებს ურთიერთგაქვითვის პრინციპის საფუძველზე, ანგარიშ-ფაქტურების გაცვლით და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით.

10. მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის ანგარიშ-ფაქტურების წარდგენა იწარმოებს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვამდე.

11. რეალურად გამოყოფილი სიმძლავრე და ფასი განისაზღვრება კონკრეტული დანართით ხელშეკრულებაზე;

12. პირდაპირი გაფართოებული ურთიერთჩართვის შესახებ წერილობითი მომართვიდან 5 (სამუშაო) დღის ვადაში „მაქსტელი" მსურველ ოპერატორს აცნობებს ურთიერთჩართვისთვის საჭირო საშუალებების არსებობის შესახებ, რომლის არსებობის შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდება ხელშეკრულება.

13. ურთიერთჩართვის წერტილის სხვა ადგილას გადატანის შესახებ „მაქსტელი" მეორე მხარეს აცნობებს წერილობით 1 (ერთი) თვით ადრე.

14. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადაა 12 თვე.

შპს „მაქსტელი"
დირექტორი: ე. ხარატიშვილი